სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№10 (318) დეკემბერი, 2018 წელი

მინდა გულითადად მოგილოცოთ შობა-ახალი წელი და გისურვოთ განვითარება, წინსვლა, ახალ-ახალი მიღწევები სამეცნიერო სფეროსა და პრაქტიკულ საქმიანობაში, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა!

ახალ წელს ვუსურვებ ყველას – სტუდენტსა და პროფესორს, მკვლევარსა და ჯანდაცვის ყველა პროფესიონალს, ადმინისტრაციას, ჩვენს მრავალრიცხოვან გულშემატკივარსა და პარტნიორს, ვისაც წვლილი შეაქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინსვლასა და განვითარებაში. ჩვენი უნივერსიტეტის წარმატება თითოეული ჩვენგანის მონაპოვარი და პირადი წარმატებაცაა, ჩვენი ერთობლივი, გუნდური მუშაობის შედეგია.

ცხადია, ახალი წელი ერთგვარი შეჯამების დროა. თუ გასულ წელს გადავავლებთ თვალს, ჩვენი მიღწევები კვლავაც გვაძლევს სიამაყის საფუძველს.

2018 წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა შეფასებების და უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის და განხილვის შემდგომ მიიღეს გადაწყვეტილება ავტორიზაციის მოთხოვნებთან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული შესაბამისობის და ავტორიზაციის მინიჭების შესახებ მაქსიმალური შეფასებით, ასევე, დადებითად გადაწყდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხიც. ყველას გილოცავთ ამ წარმატებას!

გასულ წელსაც განვახორციელეთ და დავიწყეთ მუშაობა არაერთ პროექტზე, მათ შორის ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტზე საქართველოში, რომელსაც ემორის უნივერსიტეტსა და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოსთან (USAID) ერთად ვახორციელებთ, შევასრულეთ თქვენთვის მოცემული არაერთი პირობა.

ისევ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასწავლო გარემოს რეაბილიტაციას და ტექნიკურ აღჭურვას, საუნივერსიტეტო კლინიკების და, მთლიანად, ინფრასტრუქტურის განვითარებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიული ამოცანაა სწავლის ხარისხის მუდმივი განვითარება, თსსუ-ის რეპუტაციის შენარჩუნება, როგორც ეროვნული და WFME სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ტრადიციულად გამორჩეული ცენტრისა როგორც საქართველოში, ისე – საერთაშორისო არენაზე.

ჩვენს უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრესული გარდაქმნები, რომელიც საგრძნობი და თვალსაჩინოა. გარდაქმნების მიზანს წარმოადგენს ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ახალი მოდელის შემუშავება და დანერგვა. ჩვენ მომავალში კიდევ უფრო ცხადად შევიგრძნობთ ამ რევოლუციური გარდაქმნების შედეგს!

უღრმესი მადლობა ყველას, ვისაც ამ მიღწევებში წვლილი მიუძღვის!

ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მიჩნეულია ყველაზე მოთხოვნად სამედიცინო სკოლად საქართველოში, სადაც რვა ათასზე მეტი სტუდენტი, მაგისტრანტი და დოქტორანტი იღებს განათლებას, მათგან 2300 – მსოფლიოს 68 ქვეყნიდან.

ჩვენი პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და კლინიკა 40-ზე მეტი ქვეყნიდან, სადაც ყოველწლიურად სტაჟირებას გადის რამდენიმე ასეული სტუდენტი და რეზიდენტი. უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება საერთაშორისო პროგრამები: მედიცინის ფაკულტეტზე, ემორის უნივერსიტეტთან ერთად – დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა; ერთობლივი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები საზოგადოებრივ ჯანდაცვაში უნიმენის მენეჯმენტის და აღსრულების აკადემიასთან (საფრანგეთი), საექთნო პროგრამა ავსტრიის ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთ საგანმანათლებლო ცენტრთან (AZW) ერთად.

ჩვენს უნივერსიტეტს ლექციების წასაკითხად სტუმრობენ აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების პროფესორები და წამყვანი სპეციალისტები.

განათლება ქვეყნის პრიორიტეტია! ჩვენი პირველი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის სტანდარტების მუდმივი ამაღლების ხელშეწყობაა. უნივერსიტეტი მომავალშიც შეეცდება, სტუდენტებს შეუქმნას ყველა საჭირო პირობა შესაძლებლობის სრულად გამოვლენისა და წარმატების მიღწევისთვის;

ახალგაზრდობა სიამაყის მიზეზს გვაძლევს. ვუსურვებ მათ ნაყოფიერად გამოეყენებინოთ სტუდენტური წლები, რათა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ და გაემართლებინოთ ის იმედები, რასაც მათზე უნივერსიტეტი და, მთლიანად, ქვეყანა და საზოგადოება ვამყარებთ!

მომავალ წელს განსაკუთრებული ყურადღება კვლავ მიექცევა აკადემიური სწავლების ხარისხს, ყოველმხრივ ვეცდებით, გავაუმჯობესოთ სასწავლო გარემო, საინფორმაციო და სასწავლო ტექნოლოგია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ხელს შევუწყობთ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აკადემიურ პატიოსნებას, ლექციების ჩატარების ხარისხს, მცირე ჯგუფებში მუშაობის მეთოდოლოგიას. კვლავ დაინერგება სწავლებისა და შეფასების ახალი, თანამედროვე მეთოდები, რომლებიც, ფაქტების ცოდნის გარდა, სტუდენტთა კლინიკური ჩვევების ათვისებასა და შეფასებას უზრუნველყოფს. უნივერსიტეტი საკუთარ ინტელექტუალურ მიღწევებს ხელმისაწვდომს გახდის არა მარტო თავისი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების, არამედ პაციენტების და ფართო საზოგადოებისთვისაც.

წავახალისებთ ინოვაციურობასა და შემოქმედებით უნარებს, კრეატიულობას;

ამ ყველაფერს ვგეგმავთ თქვენთან ერთად, თქვენი იმედით და თანადგომით.

უნივერსიტეტი თავისი მისიის განსახორციელებლად მზად არის ითანამშრომლოს ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან. ასევე, ქვეყნისა და საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, მზად ვართ, განვახორციელოთ სხვადასხვა სახის საინფორმაციო, საკონსულტაციო, დიაგნოსტიკური, კვლევითი, სარეაბილიტაციო და სამკურნალო ღონისძიებები, მონაწილეობა მივიღოთ ყველა პროცესში, რომლის მიზანიც მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაა.

ჩვენ გვაერთიანებს სლოგანი – „ტრადიციებით მომავლისაკენ“. სწორედ ამ ღირებულებებზე დაყრდნობით და დაუღალავი შრომით უნდა შევქმნათ ხვალინდელი დღე. მჯერა, ერთად უდიდეს წარმატებას მივაღწევთ!

პროფესორი
ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის
რექტორი

კლინიკური სტაჟირების მიზნით ემორის უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის შინაგანი მედიცინის კლერკშიფში ჩართული მოწვეული სპეციალისტები, ექიმები რუსუდან რუსია და შორენა შონია ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლას კლინიკური სტაჟირების მიზნით სტუმრობდნენ.

ისინი ჯორჯიის შტატში, ქალაქ ატლანტაში ამერიკელი კოლეგების დახმარებით ეცნობოდნენ კლინიკური სწავლების მიმდინარეობას. ქართველმა სპეციალისტებმა ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის კლინიკური ბაზები მოინახულეს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის შინაგანი მედიცინის კლერკშიფის ეფექტურობის გაზრდისთვის პაციენტის საწოლთან სტუდენტების სწავლების პროცესს დააკვირდნენ, ამერიკელი კოლეგებისგან მოისმინეს რა სტანდარტებითა და მეთოდოლოგიით ხორციელდება კლინიკური სწავლება.

ვიზიტის პერიოდში რუსუდან რუსია და შორენა შონია შეხვდნენ ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორებს და წარმომადგენლებს, მათ შორის, ასისტენტ-დეკანს სამედიცინო განათლების დარგში – გორდონ ჩარჩვორდს, კლინიკური განათლების ასოცირებულ დეკანს – ჯოელ ფელნერს, შინაგანი მედიცინის კურსის ასოცირებულ დირექტორს – მერედიტ ლორას, ასისტენტ-პროფესორს და ინფექციურ დაავადებათა სპეციალისტს – ვარუნ კიშორფადკის, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დოქტორს და შინაგანი მედიცინის კლერკშიფის ხელმძღვანელს – მაიკლ ლუბინს.

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

7 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა სოციალური პედიატრიისა და ჯანმრთელობის მიმართულებით რიგით 41-ე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას უმასპინძლა, რომლის ორგანიზებაც, უნივერსიტეტთან ერთად, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა, საქართველოს ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების აკადემიამ, ორგანიზაცია *FRONTERA EASTERN GEORGIA*-მ და სხვა პარტნიორმა ორგანიზაციებმა გასწიეს.

ღონისძიება სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პრეზიდენტმა, პროფესორმა გიორგი ჩახუნაშვილმა გახსნა, რომელმაც ისაუბრა კონფერენციის საერთაშორისო მნიშვნელობაზე.

კონფერენციის დაწყებამდე, დიპლომითა და სიგელით დაჯილდოვდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის №2 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ყარამან ფაღავა. პროფესორების: ირაკლი ფაღავას, გიორგი ყიფიანის, ვიქტორ მოროშკინის, თემურ ტონიას ხსოვნის პატივსაცემად, ორგანიზატორებისგან მადლობის სიგელი მათი ოჯახის წევრებს გადაეცათ. დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ გაიმართა პლენარული სხდომები, ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა რიგით 23-ე კონფერენციაც გაიმართა.

თსსუ-ის დელეგაცია საქმიანი ვიზიტით გერმანიაში იმყოფებოდა

2018 წლის 26-29 ნოემბერს, თსსუ-ის დელეგაცია: ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მარინა მამალაძის, დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის დეა ვადაჭკორიას, პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ხატია გოგიშვილის, ამავე დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორების თეა ცინცაძისა და ნინო გოგებაშვილის შემადგენლობით, საქმიანი ვიზიტით გერმანიაში იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში თსსუ-ის წარმომადგენლები, ქალაქ ბიტინჰემ-ბისინგემში, კომპანია Durr Dental-ის სასწავლო ცენტრში ლექციასა და მასტერ-კლასს დაესწრნენ, რომელიც Vector-ის აპარატით პაროდონტის დაავადებათა კომპლექსური მკურნალობის და ამ აპარატის გამართული მუშაობის საფუძვლებს ეძღვნებოდა. ლექცია და მასტერ-კლასი კომპანია Durr Dental-ის წარმომადგენლების და კლინიკური კონსულტანტების მიერ იქნა ჩატარებული. თსსუ-ის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მასტერ-კლასის საფუძველზე, მათ მიეცემათ საშუალება Vector-ის აპარატით პაციენტთა მკურნალობის ხარისხი კიდევ უფრო განავითარონ.

ვიზიტი კატანიის (იტალია) უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი და პროგრამა „ERASMUS+"-ის კოორდინატორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი ნინო კანდელაკი ვიზიტით იმყოფებოდნენ კატანიის უნივერსიტეტში (იტალია).

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა კატანიის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის, ჰორიზონ 2020 პროექტის მოსამზადებელი გრანტის ფარგლებში, სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხების დაზუსტება და „ERASMUS+"-ის ფარგლებში, უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა.

ვიზიტს წინ უძღოდა ზოგადი ხელშეკრულების მომზადება კატანიის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის, რომელიც ამჟამად უკვე ხელმოწერილია კატანიის უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

თსსუ-ის წარმომადგენლებს ყოველდღიური შეხვედრები ჰქონდათ ბიოსამედიცინო მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორ ფერდინანდო ნიკოლეტისთან და ასისტენტ-პროფესორ კატია მანგანოსთან. ვიზიტის ფარგლებში, თსსუ-ის წარმომადგენლები შეხვდნენ უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს ბიო-სამედიცინო დარგის ინტერნაციონალიზაციის სფეროში, პროფესორ რიცო რენატასა და „ERASMUS+"-ის ინსტიტუციურ კოორდინატორს, პროფესორ ადრიანა დი სტეფანოს.

თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფს ჯილდო გადაეცა

10 დეკემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისათვის 2018 წლის კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი.

2018 წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფის ჯილდო გადაეცა თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფს აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის ხელმძღვანელობით.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ფონდის გენერალური დირექტორი – ზვიად გაბისონია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე – ირინა აბულაძე, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე – მარიამ ჯაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი – დავით ლორთქიფანიძე, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების რექტორები, კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების ხელმძღვანელები.

შეხვედრა დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან

7 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენლები და დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეხვდნენ დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე; მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია; დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი დეა ვადაჭკორია; იურიდიული სამსახურის და სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენლები: მარიკა ცქვიტინიძე და მარიამ კანდელაკი.

შეხვედრაზე განიხილეს პროგრამაზე აკადემიური პროცესის მიმდინარეობის და ადმინისტრირების საკითხები, ისაუბრეს ფაკულტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესის, სტუდენტის შეფასების კრიტერიუმების, პერსონალური და პროფესიული ზრდის პერსპექტივების და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესახებ.

ღონისძიების დასასრულს, თსსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უპასუხეს სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებს.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტმა კამპანიას — „დაინახე ყველაფერი" — უმასპინძლა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტმა ანტი-სტიგმა კამპანიას – „დაინახე ყველაფერი" – უმასპინძლა. სტუდენტებთან შეხვედრა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ლელა მასხულიას ორგანიზებით წარიმართა.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი, ქალბატონი მაგული შაღაშვილი აუდიტორიას ესაუბრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მიმართ საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპებისა და სტიგმის შესახებ, საკითხის ირგვლივ არსებულ პრობლემებზე, კამპანიის შემუშავების აუცილებლობაზე, კამპანიის მიზნებზე. საკითხთან დაკავშირებით სტუდენტებმა მას საკუთარი დამოკიდებულებები და შეხედულებები გაუზიარეს.

საკუთარი გამოცდილების მაგალითზე, აუდიტორიას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელი, ქალბატონი მაია შიშნიაშვილი ესაუბრა. მან აღნიშნა, რომ თემასთან დაკავშირებით პრობლემები დღესაც დგას და გამოთქვა იმედი, რომ მომავალი თაობები უფრო თანამედროვე და თავისუფალი მიდგომებით მოახერხებენ ურთიერთობას შშმ პირებთან.

კამპანიის ორგანიზატორებმა წარმოადგინეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები, სადაც წარმოჩენილი იყო ახალგაზრდების გამოცდილება შშმ პირებთან ურთიერთობისას, მათი მოლოდინებისა და დამოკიდებულების ცვლილება ურთიერთობის შემდეგ.

ფარმაცევტული კომპანია — „PSP"-ს შეხვედრა ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებთან

თსსუ-ის მე-4 სასწავლო კორპუსში გაიმართა ფარმაცევტულ კომპანია „PSP"-ს შეხვედრა ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებთან. „PSP-ფარმამ" დამსწრე საზოგადოებას გააცნო სტუდენტური დასაქმების ახალი პროგრამა, რომელიც გულისხმობს: სწავლასთან ადაპტირებულ 4, 6 ან 8 საათიან სამუშაო განრიგს, გამოცდების პერიოდში შვებულების აღების შესაძლებლობას, ტრენინგს ტრენინგ-ცენტრში, პრაქტიკის გავლას სააფთიაქო ქსელში, წარმატებული PSP-ს ფარმაცევტის დაფინანსებას საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში.

შეხვედრის დასასრულს, „PSP-ფარმამ" საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ფარმაციის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები, რომლებიც, ამავე დროს, აღნიშნული კომპანიის წარმატებული ფარმაცევტები არიან. „PSP-ფარმა" მათ სრულად დაუფინანსებს უნივერსიტეტის სწავლის საფასურს.

ფარმაცევტული კომპანია „გეფა" თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა

7 დეკემბერს ფარმაცევტული კომპანია „გეფა"-ს წარმომადგენლობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა.

კომპანიის წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას სასწავლო პროცესზე მორგებული, ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა შესთავაზა, რასაც სტუდენტების მხრიდან დიდი დაინტერესება მოჰყვა.

შეხვედრის დასასრულს, კომპანია „გეფა"-ს წარმომადგენლებმა ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სტაჟირება და დღემდე დასაქმებულები არიან აღნიშნულ კომპანიაში, დააჯილდოვეს კომპანიის სახელობითი სტიპენდიით და გადასცეს სერტიფიკატები.

შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნა

1 დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით 1988 წლიდან აღინიშნება. მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ექიმებისა და მეცნიერების დაუღალავი შრომისა, აივ ინფექცია კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და სამედიცინო გამოწვევად. საქართველო 26-ე წელია უერთდება თარიღის აღნიშვნას.

კამპანიის მიზანია საზოგადოებაში ინფორმირებულობის დონის ამაღლება დაავადების გავრცელების გზების, პრევენციული ღონისძიებების და მკურნალობის მეთოდების შესახებ.

2018 წლის 29 თებერვალს, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის – „თანადგომა" და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანიზებით, თსსუ-ის ეზოში ჩატარდა აქცია/ღონისძიება, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩაუტარდათ აივ ინფექციაზე პირველადი ტესტირება და მიეწოდათ დაავადებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

სტუდენტური ფესტივალი 2018

„საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ და თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარდა „სტუდენტური ფესტივალი – 2018“; უკვე მესამედ განხორციელებული პროექტი მასშტაბურ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს მოიცავდა. ფესტივალის მიზანი ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სტუდენტური ცხოვრების გააქტიურება და გამრავალფეროვნება, სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება და მათი ნიჭის რეალიზაციის ხელშეწყობაა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც ერთმანეთს სპორტის სხვადასხვა სახეობაში: მინი ფეხბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ბოულინგში, ქუჩის კალათბურთში შეეჯიბრნენ. ღონისძიების აქტიური მხარდამჭერი და მონაწილე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. მაგიდის ჩოგბურთში, გოგონებს შორის შეჯიბრში, გამარჯვებული გახდა თსსუ-ის სტუდენტი. კულტურული მიმართულებით ფესტივალში ჩართული გახლდათ მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალი „ნიღაბი“ და თსსუ-ის თეატრალურმა დასმა, „ჰიგიამ“, სპექტაკლი „სიკვდილი ღრუბლებში“ წარმოადგინა. დასმა სამ ნომინაციაში გაიმარჯვა.

სტუდენტურ ფესტივალს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე და თბილისის მერი კახა კალაძე ესწრებოდნენ. დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ, სიტყვით მიმართა ფესტივალის მონაწილეებს: „ახალგაზრდებისთვის ასეთი ღონისძიება, როგორიცაა „სტუდენტური ფესტივალი 2018“, ბოლო წლების განმავლობაში არ ჩატარებულა. ეს სულისკვეთება, ემოცია, რაც ახალგაზრდებისგან იგრძნობა, ჩვენს ქვეყანაში ყველა მიმართულებას სჭირდება, ყველა პროგრამის განხორციელებაში თქვენ გვერდით მიგულეთ; მოხარული ვიქნები თქვენთან ერთად განვახორციელო ის პროექტები, რაც ხვალინდელი ქალაქისთვის მნიშვნელოვანია. მოდით, ყველა თაობის ადამიანებს ერთად ვუთხრათ, თუ რაოდენ საჭიროა იცხოვრო ჯანსაღი ცხოვრების წესის სულისკვეთებით, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოგვადგება“.

თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების დირექტორმა, კახა აბულაძემ, აღნიშნა: „მიხარია, რომ პროგრამა, რომელიც შეიქმნა ჩემი მეგობრების აქტიური და თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად, ასე წარმატებული აღმოჩნდა და სულ რაღაც 2 წლის განმავლობაში გაიზარდა, განვითარდა, დაიხვეწა და მოიცვა დედაქალაქში არსებული ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. სასიხარულოა, რომ დღეს ფესტივალის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მხარდაჭერა გამოუცხადეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და დედაქალაქის მერმა. მადლობა მონაწილეებს, უნივერსიტეტებს, სტუდენტურ თვითმმართველობებს, ორგანიზატორებს.“...

ღონისძიებას საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების რექტორები დაესწრნენ. ფესტივალს ესწრებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია. პროექტის ორგანიზატორებმა უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, ანა კაკაბაძეს, ღონისძიებაში თსსუ-ის აქტიური მონაწილეობისთვის ჯილდო და მადლობის სიგელი გადასცეს.

შეხვედრა მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის ინგლისურენოვანი პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტებთან

13 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალურ დარბაზში გაიმართა შეხვედრა მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის ინგლისურენოვანი პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტებთან. სტუდენტებს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია, მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ლევან ბენაშვილი, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი მიხეილ დიაკონიძე და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები შეხვდნენ.

შეხვედრაზე დეკანატის წარმომადგენლებმა განიხილეს აკადემიური პროცესის მიმდინარეობისა და ადმინისტრირების საკითხები, სწავლის პროცესისა და სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები, ფაკულტეტის სტრუქტურა; სტუდენტებს გააცნეს მათი უფლება-მოვალეობები.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ისაუბრა იმ სერვისებზე, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ სტუდენტებს, როგორც უნივერსიტეტში სწავლისას, ისე – უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ.

შეხვედრაზე სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურას, მის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებს. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან მათ მიიღეს ინფორმაცია, თუ როგორ ჩაერთონ დაგეგმილ ღონისძიებაში და გამოთქვეს მზადყოფნა აქტივობებში მონაწილეობისათვის.

ღონისძიების დასასრულს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის ინგლისურენოვანი პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტებმა მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და სტუდენტურ თვითმმართველობას თანადგომისთვის. აღნიშნეს, რომ თსსუ-ში სწავლა მნიშვნელოვანი იქნება მათი მომავალი კარიერის და პროფესიული განვითარების თვალსაზრისით.

მწერალთა სახლში თსსუ-ის სტუდენტის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა



ბოკო ჭიღლაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტია. თანაკურსელებისგან წერის განსაკუთრებულ ნიჭსა და მოთხოვნილებასთან ერთად უკვე მწერლის სტატუსიც გამოარჩევს...

წერა ბავშვობისას, ჯერ კიდევ 13 წლის ასაკში დაიწყო. 2017 წელს მისი პირველი მოთხრობების კრებული გამოიცა. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა და გამომცემლობა Ibooks-მა მისი მოთხრობების კრებული გამოსცა, რომელსაც „გაფიქრება“ ერქვა. წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ბოკო ჭიღლაძის მოთხრობები ასაკისთვის შეუფერებელად ნაადრევი სიმწიფით და სიღრმით გაგაკვირვებთ“... მაშინ იგი 17 წლის გახლდათ. სულ ახლახან კი, მწერალთა სახლში, მისი ახალი წიგნის, ამჯერად, – რომანის პრეზენტაცია შედგა: ახალგაზრდა მწერლის გულშემატკივრები, თანატოლები, მეგობრები, უბრალოდ, ლიტერატურის მოყვარულები რომანის („სურვილის სიმძიმე“) და, ზოგადად, მისი შემოქმედების უკეთ გასაცნობად შეიკრიბნენ. წიგნი გამომცემლობა „ოზრმა“ გამოსცა. ღონისძიებაზე რომანის შესახებ გამომცემელმა მამუკა ხანთაძემ და თავად ავტორმა ისაუბრეს.

ეხება რა ისეთ მარადიულ თემებს, როგორიცაა სიყვარული, ადამიანური ურთიერთობები, სულიერი კრიზისი, საკუთარი თავის ძიება და ა. შ., ავტორი ცდილობს ღრმად ჩაწვდეს ადამიანის სულიერ სამყაროს და პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტი დახატოს, რაც მნიშვნელოვანი ამოცანაა მწერლისთვის, რომლის შემოქმედებით სამყაროში რეალურთან ერთად გამოგონილ ამბებსაც შეხვდებით და ზოგჯერ ზღვარი რეალურს და ირეალურს შორის შეუმჩნეველი ხდება... დამწყები მწერლის შემოქმედებაში, შეიძლება ითქვას, ეგზისტენციალური პრობლემების გამოკვეთის მცდელობა იქცევს ყურადღებას, ალბათ ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ საყვარელ მწერლებად დოსტოევსკის, კაფკას, კამიუს მიიჩნევს და მათ გავლენაზეც გულახდილად საუბრობს...

„არის შემთხვევები, როცა გარემოებებს გავურბივართ, ცვლილებები გვაფრთხობს... ასეთ დროს, უნდა ჩავეჭიდოთ სწორედ იმას, რაც არ გვტოვებს და სიცოცხლისუნარიანობას გვინარჩუნებს. ხშირად ეს სიყვარულია, რომელიც ყველაფრის საწყისი და მამოძრავებელია“, – აღნიშნავს ახალგაზრდა მწერალი რომანზე და, ზოგადად, საკუთარ შემოქმედებაზე მსჯელობისას.

გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა, არ გახლდათ ნაჩქარევი და მოულოდნელი, ეს მისი შეგნებული და კარგად გააზრებული არჩევანია – ექიმობა ბავშვობიდავე უნდოდა, რადგან საინტერესო და ჰუმანურ პროფესიად მიიჩნევს; ცნობილი ექიმი-მწერლების შემოქმედებასაც იხსენებს და ექიმობის და მწერლობის მსგავსებაზეც სიამოვნებით საუბრობს... უკვე ისიც იცის, რა გზით წავა მედიცინაში – გადაწყვეტილი აქვს ქირურგი გახდეს; მისი მიზანდასახულობის გათვალისწინებით, არ გაუჭირდება შემოქმედებითი საქმიანობა მთავარ პროფესიას შეუთავსოს, რადგან წერა მისთვის ბევრად მეტია, ვიდრე ჰობი – უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია საკუთარი თავი ამის მიღმა (აკი ამბობს ერთგან: „იმას ვწერ, კარგო, რაც არ მეშვება“...).

აღსანიშნავია, რომ მისი მოთხრობების კრებული უკვე ითარგმნა რუსულ ენაზე. ავტორის სურვილის და მცდელობის შედეგად, მის შემოქმედებას, ალბათ, სხვა ენებზეც გაეცნობა მკითხველი. მალე იგი ლექსების კრებულის გამოცემასაც გეგმავს, რასაც მისი შემოქმედების მოყვარულები უკვე მოუთმენლად ელიან. დაგვეთანხმებით, ამ ასაკისთვის ცოტა არ არის, თუმცა როგორც მისი საყვარელი ლიტერატურული მიმდინარეობის, მაგიური რეალიზმის, უდიდესი წარმომადგენელი იტყვის: „მნიშვნელობა არა აქვს რამდენი წლის ხარ, მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეიგრძნობ ამ წლებს“... თუ როგორ შეიგრძნობს ამ წლებს ახალგაზრდა მწერალი, ამის პასუხს მის შემოქმედებაში იპოვით, რომლის გაცნობითაც მკითხველს ორიგინალური ხელწერით გამორჩეულ ახალგაზრდა მწერალთან შეხვედრის სიამოვნება ელის.





ნატო ბოლქვაძე

საჯარო ლექციები გრძელდება

3 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგის, დამწვრობის ცენტრის დირექტორის – გუგა ქაშიბაძის საჯარო ლექცია თემაზე: „პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის თანამედროვე მეთოდები“.

ლექცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ხელშეწყობითა და თსსუ-ის სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFMSA) ორგანიზებით ჩატარდა.

ლექციაზე პროფესორმა გუგა ქაშიბაძემ სტუდენტებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და განიხილა თერმული დაზიანებების, დამწვრობისა და მოყინვის შემთხვევები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, მიხეილ დიაკონიძის განცხადებით აღნიშნული ლექცია სტუდენტების ინტერესებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე მოეწყო. მისივე თქმით, ნებისმიერ სტუდენტს, ან სტუდენტთა ჯგუფს შეუძლია განცხადების საფუძველზე მოითხოვოს ღონისძიება თუ საჯარო ლექცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ასეთ ინიციატივებს მხარს დაუჭერს.

„მედისინემას“ მორიგი კინოჩვენება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კინოკლუბმა „მედისინემამ“ 14 დეკემბერს კიდევ ერთ კინოჩვენებაზე მიიწვია მაყურებელი, ნაჩვენები იქნა ლეგენდარული რეჟისორის უეს ანდერსონის ფილმი: „მატარებელი დარეჯელინგის მიმართულებით“. ფილმმა მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია. ყოფით პრობლემებს გარიდებული ძმები, ცდილობენ აღადგინონ ურთიერთობები და ძველებურად იცხოვრონ, რადგანაც მიხვდნენ, რომ ერთმანეთის სიყვარული გადაარჩენთ და ერთად მყოფნიც ყველა პრობლემას ადვილად მოაგვარებენ.

კინოკლუბს მომავალში მრავალი საინტერესო შეხვედრა აქვს დაგეგმილი ცნობილ ადამიანებთან, გაიმართება ფილმების ჩვენება მაყურებლის თხოვნით, ჩატარდება დისკუსიები სტუდენტთათვის საინტერესო და აქტუალურ თემებზე.

სახელოვან ქართველ ფეხბურთელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის (სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – სოლომონ ერგემლიძე) და სპორტის და ხელოვნების ცენტრის (დირექტორი – ზაურ ფხალაძე) მხარდაჭერით ხშირად იმართება სახელოვანი ქართველი ფეხბურთელების, მწვრთნელების, მსაჯების, საზოგადო მოღვაწეების მინი-ფეხბურთის ტურნირები, შესაბამისად – მსგავსი ტურნირების ჩატარების რაოდენობით უნივერსიტეტებს შორის ლიდერობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელიც რეგულარულად აწყობს ღვაწლმოსილ თანამემამულეთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ 1960 წელს, პარიზში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ფინალში, ევროპის ჩემპიონები გახდნენ მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი. მათთან ერთად კონტინენტური ფორუმის შესარჩევ ტურნირში სერგო კოტრიკაძეც თამაშობდა. სწორედ მათი ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს უმასპინძლა თსსუ-მ.

ფაკულტეტების 17 გუნდის ასპარეზობის დასკვნითი შედეგები ასეთია:

ნახევარფინალი: „ელიოტი“ – „თბილისი 88“ – 1:0: „პანტერები“ – „სელესაო“ – 4:2; ფინალი: „ელიოტი“ – „პანტერები“ – 0:0 (პენალტებით – 4:3). ტურნირის ჩემპიონი გუნდი „ელიოტი“ გახდა, ხოლო ინდივიდუალური პრიზების მფლობელები გახდნენ: საუკეთესო მეკარე – თორნიკე ფუტკარაძე (მედიცინის ფაკულტეტი); ყველაზე ტექნიკური მოთამაშე – საბა სამხარაძე (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი); საუკეთესო ფეხბურთელი, ბომბარდირი (11 გოლი) – გიორგი პაიჭაძე (ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი).

ტურნირის მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ვახტანგ ბაქანიძე, თსსუ-ის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელიც გახლავთ. ასე რომ, მან კანდიდატები ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების გუნდისთვისაც შეარჩია.

თსსუ-ის დელეგაციის ვიზიტი რუმინეთში

- 2018 წლის 10-14 დეკემბერს თსსუ-ის დელეგაცია: თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორები: პროფესორი ხათუნა თოდაძე, ასოცირებული პროფესორი ირაკლი კოხრეიძე და რექტორის აპარატის უფროსი – ირინა კაპეტივაძე ტირგუ მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს ეწვივნენ.

- თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია ტირგუ მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორის მიწვევით, მონაწილეობდა უნივერსიტეტის ყოველწლიურ საზეიმო ღონისძიებაში – „საუნივერსიტეტო დღეები“, ასევე, დელეგაციის წევრები მიწვეული იყვნენ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე – „ინოვაციები ჯანდაცვასა და პერსონალიზებულ მედიცინაში“, სადაც პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ წაიკითხა მოხსენება, კონფერენციაზე, ასევე, მოხსენებით წარდგა ასოცირებული პროფესორი ირაკლი კოხრეიძე.
- ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები შეხვდნენ ტირგუ მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ვიცე-რექტორებს მეცნიერებისა და განათლების საკითხებში, მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტების დეკანებს, ფარმაციის ფაკულტეტის ERASMUS+-ის პროგრამების კოორდინატორს.
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ტირგუ მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს შორის ERASMUS+-ის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება სტომატოლოგიისა და ფარმაციის ფაკულტეტებისათვის, რომელსაც ხელი მოაწერეს რექტორებმა: პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ და პროფესორმა ლეონარდ აზამფირეიმ. ამ ხელშეკრულების თანახმად, 2019 წლის სექტემბრიდან, სტომატოლოგიის ფაკულტეტის 4 სტუდენტს, ასევე, აკადემიური პერსონალის 4 წარმომადგენელს, შეუძლია გაიაროს სტაჟირება ტირგუ მურეშის უნივერსიტეტში, ფარმაციის ფაკულტეტიდან კი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის 4-4 წარმომადგენელი გაივლის ერთკვირიან სტაჟირებას, რა თქმა უნდა, ERASMUS+-ის პროგრამის ფარგლებში.
- ვიზიტის ბოლოს გაიმართა სადღეასასწაულო გალა-ღონისძიება, სადაც პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის გადაეცა საპატიო დიპლომი და მედალი.
- თსსუ-ის წარმომადგენლებმა საჩუქარი გადასცეს ტირგუ მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს – ქართველი მხატვრის მიერ მინაზე შესრულებული ტირგუ მურეშის უნივერსიტეტის პანო, ნამუშევარმა რექტორის, პროფესორ ლეონარდ აზამფირეის აღფრთოვანება გამოიწვია.
- „ვიმედოვნებთ, რომ ეს ვიზიტი კიდევ უფრო ნაყოფიერ ურთიერთთანამშრომლობას დაუდებს საფუძველს და გზას გაუხსნის ჩვენს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს, რათა მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება“, – განაცხადეს რუმინეთიდან დაბრუნებულმა თსსუ-ის დელეგაციის წევრებმა.

მინიმალურად ინვაზიური ლაპაროსკოპიული - თორაკოსკოპიულ ოპერაციები — კლინიკის გამოცდილება

ანორექტალური მალფორმაციები მოიცავს ფართო სპექტრს ინტესტინალური და უროგენიტალური ტრაქტის თანდაყოლილი პათოლოგიებისა. სხვადასხვა მონაცემებით სიხშირე - 1.3- 3.5 ყოველ 10 000 ახალშობილზე. მათ შორის 20 % ასოცირებულია ქრომოსომულ პათოლოგიებთან.

1982 წელს Peña et al წარმოადგინეს ე.წ უკანა საგიტალური ქირურგიული მიდგომის მეთოდი (PSARVUP). 1998 წელს Willit et al შემოგვთავაზეს laparoscopic assisted anorectoplasty (LAARP). მას შემდეგ ეს ტექნიკა დაინერგა მრავალ სამედიცინო ცენტრში, მათ შორის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში.

ლაპაროსკოპიული მეთოდის უპირატესობები:

- ■ ლაპაროსკოპიული და თორაკოსკოპიული ოპერაციის ტექნიკა საშუალებას იძლევა მუცლის და გულმკერდის ღრუს უკეთესი ვიზუალიზაციის, შედარებით ღია წესით ოპერაციასთან;
- ■ ოპერაციის შემდგომი ინტრააბდომინალური შეხორცებითი დაავადებების რისკი მინიმალურია;
- ■ ხდება ნაწლავთა პერისტალტიკის სწრაფი აღდგენა;
- ■ პაციენტს ლაპაროსკოპიულად ჩატარებული ოპერაციის შემდგომ ფაქტობრივად არ აღენიშნება ტკივილი, რაც ღია წესით ოპარაციის დროს წარმოადგენს ქსოვილების ტრავმირების შედეგს;
- ■ სტაციონარში დაყოვნების მცირე პერიოდი, ღია წესით ოპერაციასთან შედარებით;
- ■ კოსმეტიკური ეფექტი.

2012 წელს საქართველოში პირველი ლაპაროსკოპიული პილორომიოტომია, თანდაყოლილი პილოროსტენოზის გამო (შონ მარვინი, ა.კუტუბიძე)



- ■ თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში ჩატარებულია ერთობლივი ლაპაროსკოპიული ოპერაციები კოლეგებთან ერთად ისრაელიდან (ხაიფას კლინიკის რამბამის ჰოსპიტალიდან), აღნიშნულ ოპერაციებს ბავშვთა ასაკში სამხრეთ კავკასიის რეგიონში ანალოგი არ აქვს.
- ■ ლაპაროსკოპიული ასისტირებით ჰირშპრუნგის ოპერაცია (ღია წესის გარეშე) – პაციენტი 4 წლის
- ■ ლაპაროსკოპიული ასისტირებით რექტო-ვაგინალური ფისტულის გადაკვეთა და მსხვილი ნაწლავის ჩამოტანა ანორექტალური მალფორმაციის გამო. სწორი ნაწლავის მაღალი ატრეზია, ფისტულოვანი ფორმით
- ■ ლაპაროსკოპიული სპლენექტომია დამატებითი ელენთის გამო.

ლაპაროსკოპიული ასისტირებით მსხვილი ნაწლავის მარცხენა ნახევრის მობილიზაცია და ანუსიდან ჩამოტანა მუცელზე ჭრილობის გარეშე (Pull-through operation)

ჩვენ მიერ ჩატარებული მინიმალური ინვაზიური ლაპაროსკოპიული და თორაკოსკოპიული ოპერაციები-68 პაციენტი (2015-18)

- ■ აპენდექტომია-35 (4-დან-16 წლამდე);
- ■ თანდაყოლილი ჰიპერტროფიული პილოროსტენოზი – რამშტდეტის პილორომიოტომია – 2 (45 დღიდან 2 თვემდე);
- ■ მეკელის დივერტიკულის რეზექცია – 4 (2წლიდან-12 წლამდე).

დიაგნოსტიკური ლაპაროსკოპია – 11;

- ■ თორაკოსკოპიული ექინოკოკექტომია, მარჯვენა ფილტვის დიდი ზომის ექინოკოკის გამო – 1;
- ■ ლაპაროსკოპიული ექინოკოკექტომია ღვიძლის ექინოკოკის გამო – 3;
- ■ თორაკოსკოპიული პლევრექტომიები, პლევრო-პნევმონიის გართულება (შეხორცებების შედეგად) – 11;
- ■ მარცხენამხრივი თანდაყოლილი დიაფრაგმის პლასტიკა (აღდგენითი ოპერაცია) მინიინვაზიური მეთოდით – 1.

თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ქირურგიის სამსახურის უფროსი, თსსუ-ის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი ავთანდილ კუტუბიძე, ნიკოლოზ გუაძე, ზურაბ ძიძავა

სამედიცინო გაზეთი

პროფესორ ყარამან ფაღავას 70 წელი შეუსრულდა

პირველი სამეცნიერო კონფერენცია პირველად იმუნოდეფიციტებზე

ახლახან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის №2 დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ყარამან ფაღავას, 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს მიეძღვნა „ბავშვთა და მოზარდთა“ რიგით – მეთერთმეტე და პირველად იმუნოდეფიციტებზე საქართველოში პირველი სამეცნიერო კონფერენცია.

გადავწყვიტეთ რამდენიმე შეკითხვით მიგვემართა იუბილარი პროფესორისადმი.

– ბატონო ყარამან, გილოცავთ საიუბილეო თარიღს და წარმატებებს გისურვებთ. გვაინტერესებს რითი იყო გამორჩეული წლევანდელი კონფერენცია?

– უკვე მეთერთმეტე წელია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეგიდით, ეწყობა სამეცნიერო-პრაქტიკული თავყრილობები. მთავარი მიზანი ექიმებისთვის დარგის უახლესი მიღწევების გაცნობა და ინფორმაციის მიწოდებაა. პრაქტიკულად, ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულობაც გვაქვს – ეს კონფერენციები ზოგჯერ საერთაშორისო მონაწილეობით ტარდება. შარშან მის ფარგლებში ჩავატარეთ პირველი ქართულ-ჩინური სიმპოზიუმი პედიატრიაში, ვიმედოვნებთ, იგი საძირკვლად დაედება შემდგომ ნაყოფიერ თანამშრომლობას; ამასთან, ცალკეულ სხდომებს ვუძღვნით ქვეყნის საჩინო მედიკოსებს. ხშირად ამ ღონისძიებებს ვატარებთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ვაქვეყნებთ კონფერენციის მასალებს კრებულის სახით; წელს კონფერენციის ერთი დღე თბილისში ჩატარდა, მეორე კი – ქუთაისში. პირველ დღესვე, ევროპის იმუნოდეფიციტების საზოგადოების მხარდაჭერით, განხორციელდა ჟ-პროექტის იმპლემენტაცია – პირველი სამეცნიერო კონფერენცია პირველად იმუნოდეფიციტებზე. ასე რომ, გარდა პედიატრებისა (პროფესორები: ნ. მანჯავიძე, რ. ქარსელაძე, მ. ხოჭავა, გ. ჩახუნაშვილი, ყ. ფაღავა, რ. ლუღაძე, მ. კვეზერელი-კოპაძე, თ.კუტუბიძე, ქ. გოგბერაშვილი, მ. ჩიქოვანი, ი. კორინთელი, ი. ფაღავა; ქუთაისელი კოლეგები – ქ. ქილიფთარი, თ. სალდაძე, გ. ალავიძე), აქტიურ მონაწილეთა შორის იყვნენ წამყვანი იმუნოლოგები – პროფესორი თ. ჩიქოვანი და პროფესორი ნ. მიცკევიჩი). მოხსენებები ეხებოდა იმუნოლოგიის, ალერგოლოგიის, ანტიბიოტიკოთერაპიის, ინფექტოლოგიის აქტუალურ საკითხებს. ქუთაისში პატივი მიეგო სულ რამდენიმე თვის წინ უდროოდ გარდაცვლილი ცნობილი პედიატრის, პროფესორ თემურ ტონიას, ხსოვნას, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა კონფერენციის მომზადებაში. ჩატარდა ბატონი თემურის ბოლო მონოგრაფიის პრეზენტაცია ბავშვთა კვების შესახებ; ქუთაისში წარმოდგენილი იქნა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ ირაკლი ფაღავას, 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმი, რომელიც მომზადდა ტელეკომპანია „პულსის“ მიერ; თბილისში კი წარმოადგინეს ფილმი ყარამან ფაღავაზე, რომელშიც აისახა ბიობიბლიოგრაფია.

– ბატონო ყარამან, 70 წლისა ბრძანდებით, რა მიგაჩნიათ თქვენს ძირითად მიღწევად?

– ძნელი სათქმელია, ისე კი, რაოდენ უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ, ვიმედოვნებ, რომ მისაღწევი კიდევ ბევრი მაქვს. როგორც ექიმმა, ხელი შევუწყვე იშვიათი დაავადებებისადმი ინტერესის გაღვივებას, ბაქტერიოფაგების გამოყენებისადმი ინტერესის ზრდას; ვამაყობ იმით, რომ ჩემთან მოჰყავთ, ასე ვთქვათ, – „საპროფესორო“ – ძნელად სადიაგნოსტიკო ავადმყოფები, ზოგჯერ მიხერხდება და ქმედით დახმარებას ვუწევ; როგორც პედაგოგმა, ჩვენს უნივერსიტეტში მოზარდთა მედიცინისა და ეკოლოგიური პედიატრიის ელემენტების სწვლება დავნერგე; მონაწილეობა მივიღე ამ დარგში საერთაშორისო სილაბუსის მომზადებაში; ვარ 600-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი, ციტირების ინდექსმა, თითქმის, 1500-ს მიაღწია, ჰირშის ინდექსმა – 11-ს; ჩემი ხელმძღვანელობით 25 დისერტაცია იქნა დაცული, ჩართული ვარ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ქსელებში. ჩატარებული კვლევების ძირითადი შედეგებიდან აღვნიშნავდი პრიორიტეტულს – ბაქტერიოფაგოთერაპიის, პლაფერონოთერაპიის და ლაზეროთერაპიის მოქმედების მექანიზმებს რომ ეხება; საქართველოში მოზარდთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქცევას, ანტიბიოტიკების მოხმარების თავისებურებებს, ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიის მხრივ – მშობელთა დეპრივაციისა და კომპიუტერის გადამეტებული გამოყენების მავნე მოქმედების კანონზომიერებებს. ჩემი წვლილი შემაქვს მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკურ განათლებაში; მაინტერესებს გენეალოგიური კვლევები, კერძოდ, გვარის და ოჯახის ისტორია, გამოქვეყნებული მაქვს შრომები ამ მიმართულებითაც.

– რას გვეტყვით თქვენს სამომავლო გეგმებზე?

– ვმუშაობ სახელმძღვანელოების ციკლზე პედიატრიაში, ბაღვაშ-ორბელიანების წვლილის ამსახველ მონოგრაფიაზე, ქართულ-გერმანულ ურთიერთობებზე. აუცილებლად მიმაჩნია იშვიათი დაავადებების ცენტრის მუშაობის განახლება, მოზარდთა ჯანდაცვის კონცეფციის შემუშავება და იმპლემენტაცია ჩვენს ქვეყანაში, კვლევის ახალი მეთოდების – არამკაფიო ლოგიკის – in silico – დანერგვა, ახალი კლინიკური კვლევების განხორციელება, საზოგადოების ყურადღების მიპყრობა მოზარდ თაობაში „კულტურული კოდის“ შენარჩუნებისა და განვითარების მნიშვნელობაზე. ასე რომ, გასაკეთებელი ნამდვილად ბევრია.

– დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ ჯანმრთელობას და სურვილების შესრულებას.

დარეჯან კომლაძე

მედიცინის ისტორია ილუსტრაციებში

შენ ნუნგი და ხუანგ თი

ფოტოზე ასახულია სპილოს ძვლის ნეცკე (7,5 სმ სიმაღლისა), რომელიც უძველესი ჩინეთის დიდ მოღვაწეებს წარმოადგენს: შენ ნუნგი (მესამე ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ჩინური მედიცინის მამად ითვლება. ხუანგ თი (ასევე მესამე ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ჩი' პოსთან ერთად თანაავტორია ცნობილი ტრაქტატისა „ყვითელი იმპერატორის კანონი შინაგანი მედიცინის შესახებ“.

ეს წიგნი შესაძლებელია ძალიან საინტერესო იყოს თავისი ფორმატით: ის მოიცავს ყვითელი იმპერატორის მიერ ფორმულირებულ შეკითხვების სერიას და ექსპერტების პასუხებს ამ შეკითხვებზე. ეს მედიცინის სწავლების ფორმა დღემდე აქტუალურია. ჯორჯ ბრაუნი (Brown.G. Self assessment. Med Teach 1983 (1) 27-29) ყურადღებას ამახვილებს, რომ შეკითხვების დასმა არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდი სამედიცინო სწავლებაში. ყვითელი იმპერატორის შეკითხვებზე პასუხები არის ვრცელი და დეტალიზებული და გვიჩვენებს ყველა გზას, რომელიც ცნობილი იყო იმ დროისთვის სამკურნალო ხელოვნებაში. საინტერესოა, რომ ზოგიერთი პასუხი მოიცავს იმდროინდელი ჩინეთის ფილოსოფიურ სწავლებებს უფრო მეტად, ვიდრე იმ პერიოდში ცნობილ ანატომიურ ფაქტებს – ამ ტენდენციამ გამოძახილი ჰპოვა საუკუნეთა განმავლობაში სამედიცინო განათლებაში. როგორც ცნობილია, ექიმებს ურჩევდნენ ყოფილიყვნენ ყურადღებიანები და მზრუნველები: მათ ურჩევდნენ დასაწყისში პაციენტის პულსის გაზომვას, საკუთარი სუნთქვის სიხშირესთან მიმართებაში, ამასთანავე, ექიმები უნდა ყოფილიყვნენ ჯანმრთელები, ვიდრე ხელს მოკიდებდნენ კონსულტირების საქმეს (პულსი იყო უმნიშვნელოვანესი დიაგნოსტირების საქმეში).

ფოტოზე გამოსახულია სპილოს ძვლის ფიგურები, რომლებსაც უჭირავთ მანუსკრიპტი – როგორც ჩანს, სწორედ ეს არის ცნობილი კანონი ყვითელი იმპერატორისა.

კიერან ვოლში, „სამედიცინო განათლება – ისტორია 100 ფოტოს მიხედვით“

კეთილი საქმე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა კარგად იციან, რომ საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვა მათი პირდაპირი მოვალეობაა. სისხლის უანგარო დონაცია კი ამ ზრუნვის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და აუცილებელი მაგალითია.

13 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით სტუდენტებმა სისხლის უანგარო დონაციაში მიიღეს მონაწილეობა. სისხლის გაღება სიცოცხლის გადარჩენის ერთ-ერთი გზაა. სისხლი უანგაროდ გაიღო ბევრმა სტუდენტმა.

აქციაში მონაწილეობდნენ, როგორც ქართველი ისე უცხოელი სტუდენტები.

„ყველაზე ფასეული ჯანდაცვის სისტემაში ექიმის და პაციენტის ურთიერთობაა“...

ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში ბოლო პერიოდში განხორციელებულმა ცვლილებებმა მკაფიოდ გამოკვეთა პირველადი ჯანდაცვის, შესაბამისად — ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა. პაციენტის პირველი კონტაქტი ორგანიზებულ სამედიცინო მომსახურებასთან პირველადი ჯანდაცვის მეშვეობით ხორციელდება. სწორედ საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა მომზადება-ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი, — დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ ეტაპებზე. სასწავლო პროცესში არსებულ სიახლეებზე, ოჯახის ექიმის და პაციენტის ურთიერთობაზე, პაციენტთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებულ ვითარებაზე და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსსუ-ის ბიოსამედიცინო კვლევის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, ევროპის საბჭოს ბიოეთიკის კომიტეტის წევრი, პროფესორი გივი ჯავაშვილი.

– ბატონო გივი, თქვენი მუშაობის არეალი ფართოა და ბევრისმომცველი... თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბრძანდებით და, უპირველესად, უნივერსიტეტში საოჯახო მედიცინის სწავლების თვალსაზრისით განხორციელებულ სიახლეებსა თუ ცვლილებებზე გკითხავთ: საოჯახო მედიცინა, შეიძლება ითქვას, შედარებით ახალი აკადემიური დისციპლინაა და მოიცავს როგორც დიპლომამდელ, ისე – დიპლომისშემდგომ განათლებას. რა სიახლეებია სწავლების პროცესში და სტუდენტები, რეზიდენტები რამდენად ითავისებენ იმ მნიშვნელოვან როლს და ფუნქციას, რასაც ჯანდაცვის სისტემა აკისრებს ოჯახის ექიმს?

– საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2006 წლიდან არსებობს. თავდაპირველად ის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში ჩამოყალიბდა 2001 წელს და მხოლოდ დიპლომისშემდგომ სწავლებაზე იყო ორიენტირებული. სამედიცინო უნივერსიტეტის ფარგლებში დიპლომისშემდგომ სწავლებას დაემატა დიპლომამდელიც, სასწავლო პროგრამები გაფართოვდა და ამჟამად მოიცავს მედიცინის ფაკულტეტის I, II, VI და საზოგადოებრივი ჯანდაცვის II-III წლებს.

პირველადი ჯანდაცვა და მასზე ორიენტირებული საოჯახო მედიცინა ჯანდაცვის სისტემის საფუძველია, რაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჯერ კიდევ 70-იანი წლების რეკომენდაციით, ნებისმიერი ქვეყნისთვის საჭირო და აუცილებელია პირველადი ჯანდაცვის განვითარება. არსებობდა მოსაზრება, რომ ეს ძირითადად ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს ეხება, რომლებსაც მცირე რესურსები აქვთ. თუმცა, ისეთი მდიდარი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა, როგორიცაა ნორვეგია, მთლიანად პირველად ჯანდაცვას ეფუძნება, შესაბამისად – იქ ძლიერი ოჯახის ექიმის ინსტიტუტი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი გახლავთ და ის ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვან რესურსებს ფლობენ, სწორედ პაციენტისთვის მეტი სიკეთის მოტანის გამო, ცდილობენ პირველადი ჯანდაცვის განვითარებას.

იმის განსამარტავად, თუ რა არის საოჯახო მედიცინა და რას გულისხმობს ოჯახის ექიმის კომპეტენცია, ევროპელმა ოჯახის ექიმებმა, აკადემიურმა წრემ, გადაწყვიტა მოემზადებინა განმარტებითი დოკუმენტი, რომლის სამიზნე არა მხოლოდ მოსახლეობა, არამედ, სამედიცინო საზოგადოებაც იქნებოდა. ეს საჭირო გახდა ოჯახის ექიმებისადმი ცოტათი სკეპტიკური დამოკიდებულების გამო, კერძოდ, იმ მოსაზრების საპირისპიროდ, რომ ოჯახის ექიმმა იცის ცოტა რამ ყველაფრის შესახებ, მაგრამ არა ღრმად, როგორც სპეციალისტმა. ევროპული განმარტებით ითვლება, რომ ექიმი, რომელიც გადის სპეციალიზაციას, ანუ – რეზიდენტურას, უკვე სპეციალისტია. ევროპაში ოჯახის ექიმი სპეციალისტად ითვლება. ჩვენთანაც ასეა: არსებობს სამწლიანი რეზიდენტურის პროგრამა საოჯახო მედიცინაში.

სიახლეებზე მკითხეთ და ყველაზე პოზიტიური სიახლე, რომელიც წელს დაინერგა, ე. წ. „პორტფოლიოს“ შექმნაა რეზიდენტებისთვის. პორტფოლიოში მათი საქმიანობა სრულად აღინუსხება, რაც დაკვირვების და ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების მეტ შესაძლებლობას იძლევა. თვითონ პროგრამაზე რომ ვისაუბროთ, საოჯახო მედიცინის სარეზიდენტო პროგრამა შემუშავებულია ჩვენს ევროპელ კოლეგებთან და ექსპერტებთან ერთად, თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად და ოჯახის ექიმის კომპეტენციების ევროპულ განმარტებას ეფუძნება.

ამასთან, სასურველია მეტი კლინიკური ბაზა, რომ რეზიდენტმა მეტი ისწავლოს ინტენსიური კლინიკური საქმიანობის გზით. თუმცა, ახლა მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა კლინიკური ბაზების გაფართოებისთვის. მაგალითად, საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნა ამ თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო და წინა წლებთან შედარებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა.

EU RACT-ის საბჭოს შეხვედრაზე, EU RACT-ის პრეზიდენტ იანკო კერსნიკოსთან ერთად

დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ კიდევ სტუდენტობიდანვე ექიმობის არსის გათავისებას, ექიმის პროფესიის გააზრებას და პროფესიული ღირებულებების ჩამოყალიბებას. ამისათვის აუცილებელია, სტუდენტებს სწავლის დასაწყისშივე ჰქონდეთ შეხება თავის მომავალ პროფესიასთან, როგორც საუბრების, ისე კლინიკაში ვიზიტის ფორმით. აღნიშნულს ადრეულ კლინიკურ გამოცდილებას ვუწოდებთ. 2000-იან წლებში უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის, მსჯელობის, მათი გამოცდილების გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ დაგვენერგა სწავლების ასეთი კურსი ჯერ პირველ წელს, მოგვიანებით, უკვე მეორე წელსაც... ვფიქრობ, ჩვენს უნივერსიტეტში ამ მოდულის სწავლების განხორციელება, რაც მოიცავს ადრეულ კლინიკურ შეხებას, პაციენტთან დამოკიდებულებას, არავერბალურ კომუნიკაციას და კონფიდენციალურობას, ხელს შეუწყობს სტუდენტებში პაციენტისა და ექიმის ურთიერთობის სასურველი მოდელის ჩამოყალიბებას.

მოგვიანებით, მეორე კურსზე, ზემოაღნიშნულ საკითხებს დაემატა კოლეგებთან ურთიერთობა, კოლეგის მუშაობის შეფასება, საექიმო შეცდომა და სხვა. ამრიგად, ვცდილობთ, პროფესიონალიზმის მნიშვნელობაზე გავაკეთოთ აქცენტი, რაც არა მხოლოდ დარგის ცოდნას და სპეციფიკური უნარ-ჩვევების ათვისებას გულისხმობს, არამედ – პროფესიული ღირებულებების ჩამოყალიბებასაც. ექიმის კომპეტენცია, შეიძლება ითქვას, სამ დიდ სვეტს, სამ ძირითად საყრდენს ეფუძნება: ცოდნას, უნარ-ჩვევებს და დამოკიდებულებას. დამოკიდებულებაში კი სწორედ პროფესიული ღირებულებები მოიაზრება და მოიცავს, ერთი შეხედვით, ისეთ უცნაურ ცნებებს, როგორიცაა გულწრფელობა, პატიოსნება, კოლეგებთან თანამშრომლობა, პაციენტის უფლებების დაცვა, უანგარობა და ა. შ. შესაბამისად, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს უკვე გამომუშავებული ექნება ასეთი ხედვა, პროფესიონალისთვის აუცილებელი ღირებულებები.

სასწავლო პროგრამებშიც სწავლების განსხვავებულ ფორმებსა და მეთოდებს ვიყენებთ, მაგალითად, ფილმების ჩვენება, რომლის ნახვის შემდეგ სტუდენტი მსჯელობს, განიხილავს, წერს დასკვნას... ხშირად ვიყენებთ ხელოვნების ნიმუშებს, რეპროდუქციებს და ა. შ. სიახლეა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებაც, რაც, ახლა ინერგება ჩვენს დეპარტამენტში და სწავლების პროცესში პედაგოგზე მეტად სტუდენტის როლის გამოკვეთას გულისხმობს. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა ეფექტური იქნება კომუნიკაციისა და, ზოგადად, პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის.

– გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, თქვენ ოჯახის ექიმობის მრავალწლიანი პრაქტიკაც გაქვთ. დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების პირობებში, რა სიახლეები, გნებავთ, პრობლემები იჩენს თავს – როგორია ექიმის და პაციენტის ურთიერთობის თანამედროვე მოდელი?

– საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარებას. როგორც უკვე მოგახსენეთ, უცხოეთში ამგვარი მიდგომა ისედაც არსებობდა და ახლა ჩვენთანაც მკვიდრდება. ოჯახის ექიმს, ყველა სხვა ექიმზე ხანგრძლივი ურთიერთობა აქვს პაციენტთან, შესაბამისად – მეტად ეძლევა საშუალება სრულყოფილ ინფორმაციას ფლობდეს მასზე, როგორც ჯანმრთელობის, ისე პიროვნული მახასიათებლების შესწავლის გზით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სწორი დიაგნოზის, არამედ მკურნალობის შედეგიანობის თვალსაზრისითაც. ოჯახის ექიმს აქვს შანსი გამოიყენოს ეს ურთიერთობა და, შესაბამისად, მისი მკურნალობაც ეფექტურია. სპეციალისტმა, ცხადია, უფრო ღრმად იცის დარგი, მაგრამ ოჯახის ექიმმა ღრმად იცის პაციენტი. ეს არის ძირეული სხვაობა. როგორც ცნობილი ამერიკელი ექიმი უილიამ ოსლერი ამბობდა „კარგი ექიმი მკურნალობს დაავადებას, დიდი ექიმი კი – პაციენტს, რომელსაც დაავადება აქვს“. სხვა მხრივ თანამშრომლობა, კოორდინაცია სპეციალისტთან აუცილებელია და ეს ასეც ხდება. ყველაზე ფასეული ჯანდაცვის სისტემაში ექიმის და პაციენტის ურთიერთობაა – მედიცინა პაციენტზე უნდა იყოს ორიენტირებული. ჩემი პედაგოგი, პროფესორი გურამ კიკნაძე ამას „თერაპიულ ალიანსს“ უწოდებს, რაც ექიმისა და პაციენტის თანამშრომლობას გულისხმობს და აუცილებელი პირობაა პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემის ოპტიმალურად მოგვარებისათვის.

არსებობს მრავალი სირთულეც, კერძოდ, ოჯახის ექიმისადმი დაბალი ნდობა, ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის კულტურის არარსებობა; ითვლებოდა, რომ ოჯახის ექიმი ერთგვარი ბარიერია რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ვფიქრობ, ამ ეტაპს უკვე გავდივართ. ჩვენი სპეციალობისადმი დამოკიდებულებაც უკეთესისაკენ იცვლება.

– ახლახან ჩამობრძანდით სტრასბურგიდან, სადაც როგორც ევროპის საბჭოს ბიოეთიკის კომიტეტის წევრი, მონაწილეობას იღებდით კომიტეტის პლენარული სხდომის მუშაობაში. რა საკითხებზე იყო მსჯელობა ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე და რა შეგიძლიათ თქვათ პაციენტთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით დღეს არსებულ ვითარებაზე – რა საერთო მახასიათებელი თუ განსხვავებები იკვეთება ჩვენს ქვეყანასა და ევროპაში ამ კუთხით?

– ევროპის საბჭოს ბიოეთიკის კომიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს ევროპაში ბიომედიცინის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვას და, უფრო მეტად, ბიოსამედიცინო მეცნიერებების უახლესი მიღწევების ანალიზით, ადამიანის უფლებებზე მათი გავლენის შესწავლით და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებით არის დაკავებული. ამ კომიტეტის მიერ არის მომზადებული „კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ და მისი ოქმები ადამიანის კლონირების, ორგანოთა ტრანსპლანტაციის, ბიოსამედიცინო კვლევის თუ გენეტიკური ტესტირების საკითხებზე. კომიტეტი ამჟამად საკმაოდ რთულ საკითხს განიხილავს, რომელიც ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების კლინიკაში არანებაყოფლობით მოთავსებას და მკურნალობას ეხება. აღნიშნული პრობლემის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა და კომიტეტი ცდილობს მოამზადოს დოკუმენტის ოპტიმალური ვერსია, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებებსა და უსაფრთხოებას. კომიტეტი ასევე მუშაობს იმ პრობლემების წარმოჩენაზე, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს მედიცინაში უახლესი სამეცნიერო მიღწევების დანერგვასთან დაკავშირებით (მაგ. ნანოტექნოლოგია, ნეირომეცნიერება და სხვა).

რაც შეეხება პაციენტის უფლებებს ყოველდღიური სამედიცინო საქმიანობის კონტექსტში, ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ კარგი საკანონმდებლო ბაზა არსებობს, თუმცა სამედიცინო პერსონალი, აგრეთვე ჯანდაცვის ორგანიზატორებიც და თავად პაციენტები, ნაკლებად იცნობენ მას. არსებობს ამ უფლებების დაცვის გარკვეული მექანიზმებიც. აღნიშნულის მაგალითია ეთიკის კომიტეტები. მაგალითად, სამედიცინო ეთიკის კომიტეტების ამოცანაა კლინიკაში პაციენტების უფლებების დაცვისათვის ხელშეწყობა, კვლევის ეთიკის კომიტეტები კი სამეცნიერო კვლევებში მონაწილე ადამიანის უფლებებსა და უსაფრთხოებას იცავს. ასეთი კომიტეტი ჩვენს უნივერსიტეტში უკვე 10 წელია არსებობს. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტი ყველაზე ინტენსიურად მომუშავე კომიტეტია საქართველოში, რომელსაც 70 სხდომა აქვს ჩატარებული და რამდენიმე ასეული კვლევის გეგმა (პროტოკოლი) შეფასებული. გასათვალისწინებელია საქართველოში ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს არსებობაც, რომელიც 2000 წელს შეიქმნა და ჯანდაცვის სამინისტროს საკონსულტაციო ორგანოა. მისი ამოცანაა ქვეყანაში ჯანდაცვასა და ბიომედიცინასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დაცვისათვის ხელშეწყობა. თუმცა, ამ საკითხზე, ალბათ, სხვა დროს ვისაუბრებთ...

ბატონ გივისთან საინტერესო საუბარი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს... არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ, არამედ სხვა საინტერესო რუბრიკებშიც იგი, ალბათ, ერთ-ერთი გამორჩეული რესპონდენტი იქნებოდა, რომელთანაც ბევრ სხვა საკითხზე მსჯელობა-საუბარსაც სიამოვნებით შევთავაზებდით მკითხველს, თუმცა მას ყველაზე მნიშვნელოვანი აუდიტორია უკვე ჰყავს – დარწმუნებულნი ვართ, ახალგაზრდები სიამოვნებით ისმენენ და სწავლობენ მისგან და ზუსტად აცნობიერებენ, რომ ბედნიერებაა, როცა პროფესიონალიზმის და კეთილსინდისიერების თვალსაჩინო მაგალითი თავად პედაგოგია.

ნატო ბოლქვაძე

„ჰიგია“ ფესტივალ „ნილაბის“ სამ ნომინაციაში გამარჯვებულია

დეკემბერი, თეატრის მოყვარულებისთვის, ტრადიციულად, განსაკუთრებული თვეა – თეატრალური დღესასწაულით გამორჩეული თვე, რასაც მათ ყოველწლიურად ფესტივალი „ნილაბი“ სთავაზობს... და აი, უკვე მეშვიდედ, ეს დღეც დადგა...

მოყვარულ სტუდენტთა თეატრალურ ფესტივალს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მასპინძლობდა. შთამბეჭდავი იყო საზეიმო გახსნის ცერემონიალი, სადაც შეკრებილ საზოგადოებას ფესტივალის ორგანიზატორები, ჟიურის წევრები მიესალმნენ. ფესტივალის მონაწილეებს მნიშვნელოვანი დღე მიულოცა და წარმატებები უსურვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ.

ფესტივალზე სპექტაკლები წარმოადგინეს 10 უნივერსიტეტის თეატრალურმა დასებმა. წარმოდგენილ სპექტაკლებს აფასებდა კომპეტენტური ჟიური: გოგი თოდაძე (რეჟისორი), ეკა მჟავანაძე (მსახიობი), ნიკოლოზ წულუკიძე (თეატრმცოდნე), გოშა გორგოშიძე (რეჟისორი), ია სუხიტაშვილი (მსახიობი), ნატა ბერეჟიანი (მსახიობი), კონსტანტინე როინიშვილი (მსახიობი), გიგა დათიაშვილი (მსახიობი), ირაკლი გვილავა (თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი).

მეოთხე საკონკურსო დღეს მაყურებლის წინაშე წარდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალური დასი „ჰიგია“, რომელმაც აგათა კრისტის დეტექტივის – „სიკვდილი ღრუბლებში“ – სცენური ვერსია შემოგვთავაზა. ახალბედა, გამოუცდელმა მსახიობებმა დაუვიწყარი პერსონაჟები მართლაც შთამბეჭდავად გააცოცხლეს სცენაზე: დასამახსოვრებელი იყო „დეტექტივის დედოფლის“ საყვარელი პერსონაჟი, ბელგიელი დეტექტივი, ერკიულ პუარო (ზურა მახარაშვილი), არაჩვეულებრივი ჯეინ გრეი (ნინი ებიტაშვილი), აზარტული და დახვეწილი ბოროტმოქმედი – ნორმან გეილი (ნიკოლოზ დვალი), მომხიბვლელი და მედიდური გრაფინია სისელი (ნანი ტატიშვილი), ექსცენტრული მწერალი კლენსი (ლექსო ორველაშვილი), უცნაური ექიმი ანგელა ბაუერი (მაშო კვინიხიძე), იდუმალი მოახლე მადლენი (თაკო ხორავა) და სხვები, შეიძლება ითქვას, უკლებლივ ყველა, რომელთა უმრავლესობისთვის წარმატებული სამსახიობო დებიუტი შედგა და მაყურებლის გულწრფელი ოვაციებიც დამსახურებულად ხვდათ წილად.

თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორმა, ფესტივალის ფუძემდებელმა და ორგანიზატორმა, თსსუ—ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, ნათია გუჯაბიძემ, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: „წელს იმდენად ბევრი იყო ფესტივალში მონაწილეობის მსურველი უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა, რომ შესარჩევი ტურით შეირჩა საუკეთესოები, 16-დან – 10 უნივერსიტეტი, მათ შორის 8 – საქართველოდან და 2 – უცხოეთიდან (მოროკოს და პოლონეთის უნივერსიტეტები). წინა წლებისგან განსხვავებით, ფესტივალის ფარგლებში მოხერხდა მასტერკლასის ჩართვა – მსახიობმა გოგა პიპინაშვილმა იმუშავა, შეიძლება ითქვას, ფესტივალის თითოეულ მონაწილესთან; ასევე, ჩატარდა ტანგოს საღამო, სადაც ამ ცეკვის ცალკეული ილეთი შეისწავლეს მონაწილეებმა... შეიძლება ითქვას, ფესტივალი ბევრად უფრო შთამბეჭდავი, მასშტაბური და საინტერესო გახდა. რაც შეეხება ჩვენ მიერ წარმოდგენილ სპექტაკლს, რთული იმდენად იყო, რამდენადაც პირველად მომიხდა დეტექტივზე მუშაობა, რაც ადვილი არ აღმოჩნდა, თუმცა ბედნიერი ვარ, რომ მსახიობებმა ასე კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ როლებს და მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს. უნდა ითქვას, რომ მათ შორის ბევრი იყო ახალბედა, რომელთა დებიუტიც ამ სპექტაკლით შედგა – წინა წლებისგან განსხვავებით, ახალი თაობის მსახიობები დასის უმრავლესობას წარმოადგენდნენ და ამიტომაც ეს განსაკუთრებით სასიხარულო გახლდათ... მინდა მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, თბილისის მერიას, თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილეს, ბატონ ბადრი მაჭავარიანს და ყველას, რომელთა თანადგომას და მხარდაჭერას დასი მუდმივად გრძნობდა“...

ლუკა ქიქავა, ფესტივალ „ნილაბის ერთ—ერთი ორგანიზატორი, „ჰიგიას“ ძველი თაობის მსახიობი: „აღსანიშნავია, რომ ფესტივალში მონაწილე დასები წელს ბევრად მაღალ სტანდარტს პასუხობენ, ვიდრე ადრე – შესრულების ხარისხი, პროფესიონალიზმის მაღალი დონე, შესაბამისად – ძალიან კარგი სპექტაკლები. ალბათ ამიტომაც, ყველა სპექტაკლი ანშლაგით მიდის... უკვე 7 წელია ფესტივალი „ნილაბი“ ტარდება, 2011 წელს ენთუზიაზმით დაწყებული საქმე თანდათან სერიოზულ ღონისძიებად იქცა და დარწმუნებულები ვართ, რომ მომავალში ფესტივალი კიდევ უფრო მასშტაბური და პრესტიჟული გახდება“...

შალვა შარმიაშვილი, „ჰიგიას“ ახალი თაობის მსახიობი: „ბორტგამცილებლის როლი ჩემთვის პირველი გახლდათ, შესაბამისად – ვნერვიულობდი. ოვაციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაყურებელს მოეწონა სპექტაკლი და ვფიქრობ, ჩემი დებიუტიც შედგა... მიხარია, რომ „ჰიგიას“ მსახიობად ვითვლები, რომლის გარეშეც უკვე ძნელად წარმომიდგენია ცხოვრება. მადლობა თეატრის რეჟისორს, ნათია გუჯაბიძეს, რომელიც ცდილობს ჩვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინოს და დაგვეხმაროს სირთულეების დაძლევაში, რაც ამა თუ იმ როლზე მუშაობას ახლავს“...

როგორც ყოველთვის, წელსაც აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ ჟიურის წევრები:

ია სუხიტაშვილი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი: „ეს გახლდათ აბსოლუტურად გამართული სპექტაკლი ყველა პარამეტრით – პროფესიონალური დადგმა, პროფესიონალური შესრულება... ნამდვილი თეატრალური ზეიმი იყო. აღფრთოვანებული ვარ...“

ნიკოლოზ წულუკიძე, თეატრმცოდნე: „ბედნიერებაა, როცა ხედავ არაპროფესიონალების ასეთ დამოკიდებულებას და შესრულების მაღალ დონეს, რითაც „ჰიგია“ ყოველთვის გამორჩეულია“...

თავისუფალი თეატრის მსახიობმა, თამუნა ნიკოლაძემ ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება „ჰიგიასადმი“: „ვისურვებდი დასთან ერთად მეთამაშა ნებისმიერ სპექტაკლში, რაც ნამდვილად სასიამოვნო და საინტერესო იქნებოდა ჩემთვის“...

აი, ასეთი შეფასებები დაიმსახურა „ჰიგიამ“ პროფესიონალებისგან და შედეგიც შესაბამისი გახლდათ. 10 დეკემბერს ფესტივალის საზეიმოდ დახურვის ცერემონია გაიმართა, სადაც საზეიმოდ გაიხსნა კონვერტები და გამოცხადდა გამარჯვებულები – „ჰიგიამ“ 3 ნომინაციაში გაიმარჯვა: მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შესრულებისთვის – ზუკა მახარაშვილმა, ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის – ნანი ტატიშვილმა და მთავარი პრიზიც – ფესტივალ „ნილაბი 2018“-ის აღმოჩენა – ნინი ებიტაშვილმა დაიმსახურა.

ფესტივალი, რომელმაც 10 დაუვიწყარი დღე გვაჩუქა, დასრულდა. მომავალი შეხვედრის დრო და ადგილი უცვლელია – 2019 წლის დეკემბერში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კვლავ უმასპინძლებს ფესტივალს და თეატრის ურიცხვ თაყვანისმცემელს კვლავ თეატრალური დღესასწაულით მოგვრილ სიხარულს და აღფრთოვანებას ჰპირდება.

ნატო ბოლქვაძე

საახალწლო განწყობას ეხმაურება თსსუ-ის ფსიქიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ სილაგაძე და სტუდენტებს სთავაზობს საახალწლო ტესტს. ბატონი თეიმურაზი ყველას ულოცავს დამდეგ შობა-ახალ წელს და წარმატებებს უსურვებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სახალისო ტესტი

1. **ბერძნული მითოლოგიის რომელ გმირს ჩაუტარეს ფსიქიატრიული ექსპერტიზა:**
ა) პერსევსს;
ბ) იასონს;
გ) თეზევსს;
დ) ოდისევსს;

2. **ცნობიერების შეცვლის გამო, ბერძნული მითოლოგიის რომელმა პერსონაჟმა დახოცა საკუთარი შვილები და ძმისშვილები:**
ა) პოსეიდონმა;
ბ) ჰერაკლემ;
გ) არესმა;
დ) პრომეთემ;

3. **რომელი ცნობილი მხატვარი იყო დაავადებული ფსიქიკურად, სავარაუდოდ ეპილეფსიით:**
ა) რუბენსი;
ბ) გოგენი;
გ) ვან გოგი:
დ) ტიციანი;

4. **რომელი ქართველი პოეტი იყო დაავადებული ფსიქიკურად:**
ა) ალიო მირცხულავა;
ბ) მირზა გელოვანი:
გ) ტერენტი გრანელი;
დ) იოსებ ნონეშვილი;

5. **რომელმა ცნობილმა მწერალმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით რამდენიმე დღეში ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ:**
ა) ო’ ჰენრი;
ბ) მარკ ტვენი;
გ) ერნსტ ჰემინგუეი;
დ) ჰერმან ჰესე;

6. **რომელმა ცნობილმა მსახიობმა ქალმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით, სავარაუდოდ ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში:**
ა) ვივიენ ლი;
ბ) მარლენ დიტრიხი;
გ) მერლინ მონრო;
დ) ანა მანიანი;

7. **რომელი ცნობილი ფსიქიატრი იყო დაავადებული ფსიქიკურად, თავის თავზე აღწერა ერთ-ერთი ცნობილი სინდრომი:**
ა) კალბაუმი;
ბ) ჰეკერი;
გ) კანდინსკი;
დ) მორელი;

8. **რომელი ცნობილი ფსიქიატრი არის რომანში „ოსტატი და მარგარიტა“ პროფესორის პროტოტიპი:**
ა) განუშკინი;
ბ) გილიაროვსკი;
გ) კორსაკოვი;
დ) სერბსკი;

9. **რომელი ევროპელი მონარქი იყო დაავადებული ფსიქიკურად:**
ა) ბავარიის მეფე ლუდვიგ II;
ბ) ინგლისის მეფე ჰენრიხ V;
გ) საფრანგეთის მეფე ფილიპ IV;
დ) ესპანეთის მეფე კარლოს V;

10. **ანტიკური ხანის რომელ ცნობილ ფილოსოფოსს ჩაუტარდა თანამოქალაქეთა მოთხოვნით ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ურყევი ავტორიტეტის მქონე ექსპერტის დასკვნა გახლდათ „ასეთი ნათელი გონების ადამიანი (ლაპარაკია გამოსაკვლევ პირზე) მე არ მინახავს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი მის თანამოქალაქეებზე“**
ა) პლატონი;
ბ) დემოკრიტე;
გ) სოკრატე;
დ) არისტოფანე;

11. **რომელი ცნობილი ფილოსოფოსი იყო დაავადებული ფსიქიკურად, კერძოდ, ნეიროსიფილისით:**
ა) შოპენჰაუერი;
ბ) ნიცშე;
გ) დეკარტი;
დ) სპინოზა;

12. **ინგლისის რომელი მონარქი იყო დაავადებული ფსიქიკურად:**
ა) კარლოს I;
ბ) გეორგ III;
გ) რიჩარდ III;
დ) ჰენრიხ II;

13. **რომელი ევროპელი დედოფალი იყო დაავადებული ფსიქიკურად:**
ა) ესპანეთის დედოფალი ჯოანა I;
ბ) საფრანგეთის დედოფალი მარია მედიჩი;
გ) რუსეთის დედოფალი ეკატერინე II;
დ) შოტლანდიის დედოფალი მარია სტიუარტი;

14. **რომელი ჩამოთვლილი ქალბატონთაგან არის შეტანილი გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე მეტი მკვლელობის ავტორი:**
ა) ინგლისის დედოფალი „ფრანგი იზაბელა“ – „ფრანგი ძუ მგელი“;
ბ) ინგლისის დედოფალი მარია ტიუდორი – „სისხლიანი მერი“;
გ) უნგრელი გრაფინია ელიზაბეტ ბატორი – „ჩახტიჩკელი ურჩხული“, სისხლიანი გრაფინია“;
დ) კნეინა ოლგა, კიევის დიდი მთავრის იგორის მეუღლე და კიევის რუსეთის მმართველი – წმინდა, მოციქულთასწორი;

15. **ჩამოთვლილი რუსი კლასიკოსი მწერლებიდან, რომელი იყო დაავადებული ეპილეფსიით:**
ა) ტურგენევი;
ბ) კუპრინი;
გ) დოსტოევსკი;
დ) ტოლსტოი;

16. **ქართველ პოეტთაგან რომელმა ჩაიდინა სუიციდი:**
ა) ტიციან ტაბიძე;
ბ) გალაკტიონ ტაბიძე;
გ) ბესიკ გაბაშვილი;
დ) კოლაუ ნადირაძე;

17. **რომელ ცნობილ კომპოზიტორს აღენიშნებოდა პარანოიდული მდგომარეობა:**
ა) მოცარტს;
ბ) ჩაიკოვსკის;
გ) ბეთხოვენს;
დ) რახმანინოვს:

თუ თქვენ 15-ზე მეტ კითხვას გაეცით პასუხი, ესე იგი უაღრესად განათლებული და ერუდირებული ადამიანი ბრძანდებით, (თან ფსიქიატრიაშიც გქონიათ საკმაო ცოდნა).
თუ 10-დან 15 კითხვამდე, შედეგი მაინც ძალიან კარგია.
თუ 5-დან 10-მდე, კარგი შედეგი არ გახლავთ, მაგრამ არ იდარდოთ, იკითხეთ, ისწავლეთ და გეცოდინებათ.
თუ 5 კითხვაზე ნაკლები, მაშინ ჰოო, რა მაგისი პასუხია და, ჩემთან ხომ არ მობრძანდებოდით? დილის საათებში, 10-დან 15 საათამდე.

P. S. ჩემთან როგორც პედაგოგთან, ლექციაზე, ისე თქვენ რა იფიქრეთ?

პროფესორი
თეიმურაზ სილაგაძე,
თსსუ-ის ფსიქიატრიის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სწორი პასუხები გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია
ვაჟა-ფშაველას
გამზირი №33,
ოთახი №600,
ტ.: 254-24-64
რედაქტორი
ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspapertsmu@gmail.com